საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1984 წლის 10 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა და მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადებანი სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მოწყობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და სხვა საკითხების შესახებ.

შემდეგ პლენუმმა განიხილა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითად მიმართულებათა საკითხი. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ვ. ზიმიანინმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ი. ბ. უსმანხოჯაევი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ს. ფედირკო — სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, რ. თ. დემენტიევა — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ა. პ. ალექსანდროვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვ. ა. პეტროვი — სოციალისტური შრომის გმირი, ხარკოვის საწარმოო გაერთიანება „მალიშევის სახელობის ქარხნის“ ხარატი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ.

პლენუმმა მიიღო დადგენილებანი „სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ“.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

●

გუშინ, მოსკოვში
მუშაობა დაიწყო
სსრ კავშირის
მეთერთმეტე
მოწვევის
უმაღლესი საბჭოს
პირველმა სესიამ

●

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 71 (7632)

12 აპრილი,
ხუთშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მხოლოდ შოთა ხაბარელი

ძიუდოისტთა დიდ შეჯიბრებებამდე ბევრი არაფერი დარჩა. როგორც მკითხველმა იცის, 3 მაისს ბელგიაში დაიწყება ევროპის ჩემპიონატი, მერე კი, სულ მალე, მსოფლიოს უძლიერეს ათლეტებს ოლიმპიური ბრძოლები ელით.

ამ შეჯიბრებებისათვის მონდომებით ემზადება სსრ კავშირის ნაკრები. ძიუდოს გულშემატკივარი ყოველთვის ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენი მთავარი გუნდის გამოსვლას, რომელშიც მრავლად არიან ქართველი ფალავნებიც.

ნაკრების დაკომპლექტება იოლი საქმე არ არის — მას წინ უძღოდა ქვეყნის ჩემპიონატი, ბევრი საერთაშორისო ტურნირი. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებაში, რომელიც ახლახან დასრულდა პოლანდიის ქალაქ კერკრატში, ასპარეზობდა ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი. ამავე ტურნირში გამოდიოდნენ ნაკრების სხვა წევრებიც — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნიკოლოზ ხოლოდუხინი (65), ხაზრეტ ტლეცერი (60), იური შოხტაკოვი (78), ჰაბილ ბიქთაშევი და სხვები, სულ რვა ძიუდოისტი. ბარემ ახლავე ვიტყვით: ამ საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის გუნდმა მხოლოდ ერთი პირველი ადგილის მოპოვება შეძლო — **ტურნირის ლაურეატი გახდა შოთა ხაბარელი.**

— ეს ტურნირი ტრადიციულია, უკვე მეთხუთმეტედ გაიმართა. — ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი. — რეგლამენტი საკმაოდ მკაცრია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელი შეჯიბრება ორ დღეში მთავრდება, ეს მაშინ, როცა თითოეულ წონაში სამოცდაათზე მეტი სპორტსმენი გამოდის. მე შვიდი შეხვედრის გამართვა მომიხდა და აქედან სამი წმინდად მოვიგე. ამ ორთაბრძოლებიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გამარჯვება ფინალში შოსტაკოვთან და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის, ამერიკელი ბარონის დამარცხება.

● **რა ვითარებაა ახლა ნაკრებში, ვინ წავა ევროპის ჩემპიონატზე?**

— ჩვენებიდან შეკრებაზე მიწვეულნი არიან ნამგალაური, ხუბულური, გოგიჩაშვილი, ბერუაშვილი, კიზორძალიძე. ვფიქრობ, ჯერ ბელგიაში, მერე კი ოლიმპიადაზე წასვლის დიდი შანსები აქვთ ნამგალაურსა და ბერუაშვილს.

● **ხომ არ იგრძნობა იმის საშიშროება, რომ სპორტის ამ სახეობაში მოპოვებულ პოზიციებს ნელ-ნელა დავთმობთ?**

— შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, არა, მაგრამ აქედანვეა საჭირო ფიქრი, რომ კრიზისი საერთოდ ავიცილოთ. უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვავლინოთ ახალი რეზერვი. ამ თვალსაზრისით პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადაიდგას დასავლეთ საქართველოში ჭიდაობის ამ სახეობის დანერგვისათვის. ის, რომ იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში, სამცხე-ჯავახეთში ძიუდო ფაქტიურად არ არსებობს, ჩვენი დიდი შეცდომაა, რომლის შედეგიც, მართალია, ჯერჯერობით არ იგრძნობა, მაგრამ მომავალში ცუდად შეგვახსენებს თავს, თუ ხელი არ გამოვიღეთ. ახლახან ვიყავი მახარაძეში. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ოთარ კიშინსკი — სხვათა შორის, ძალზე ენერგიული და საქმისათვის თავდადებული კაცი — პირველ ნაბიჯს დგამს ამ რაიონში ძიუდოს პროპაგანდისა და დანერგვისთვის. მაინც მგონია, რომ ასეთ ადამიანებს ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი. დასაწყისში მაინც, ჩვენი დახმარება აუცილებელია. მერე ყველაფერი თავისთავად მოვა.

● **ევროპის ჩემპიონატამდე სამი კვირაღა დარჩა...**

— უკანასკნელ შეკრებას ნაკრების წევრები პოდოლსკში გავივლით. სწორედ იქ დაზუსტდება გუნდის საბოლოო შემადგენლობაც..

თბილისის ველოდრომის შესანიშნავ ხისსაფარიან ტრეკზე მსოფლიოს ბევრ უძლიერეს ველომრბოლელს უასპარეზია. აქ ხშირად იმართება საკავშირო შეჯიბრებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტული სეზონისთვის საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა მომზადებაში, პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევაში. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც 10 აპრილს დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. საქვეყნოდ აღიარებულ სპორტსმენებთან ს. კოპილოვთან, ა. პანფილოვთან, ო. მაღლიშვილთან, ე. ველაშვილთან და სხვებთან ერთად სარბიელზე გამოდის ბევრი ახალგაზრდა მრბოლელი.

(იხ. მე-2 გვ.)

როგორ თამაშდება საფეხბურთო ლატარია?

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრში, თვით გაზეთ „ლელოში“ შემოსული მკითხველთა წერილები ცხადყოფენ, სპორტის მოყვარულებს აინტერესებთ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის „დინამოს“ სტადიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით შემოღებული ექსპერიმენტის ორგანიზაციის საკითხები.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სპორტის ოსტატს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს კახი ასათიანს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● **პატივცემულო კახი, საფეხბურთო ლატარია მოიწონა თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარმა. როგორც ცნობილია, ასეთი ლატარიის გათამაშება „დინამოს“ სტადიონზე კვლავაც გაგრძელდება. რა შედეგი მოგვცა პირველმა ტირაჟმა?**

— მკითხველმა ალბათ იცის, რომ საფეხბურთო ლატარია თბილისის „დინამოს“ სპორტკომბინატის ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტით გათვალისწინებული ერთ-ერთი ღონისძიებაა. პირველ ორ ტირაჟში მომგებიანია 157-157 ბილეთი და მოგებათა საერთო რაოდენობა 30-30 ათას მანეთს შეადგენს. პირველმა ტირაჟმა ერთხელ კიდევ დაადასტურა გულშემატკივრების ერთგულება ჩვენი საყვარელი გუნდისადმი, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ. ცხადია, თითოეულ მაყურებელს კარგად ესმის, რომ საფეხბურთო ლატარიის შემოსავალი ისევ და ისევ ჩვენი ფეხბურთის წინსვლას და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კეთილდღეობას მოხმარდება.

● **ზოგიერთი მაყურებელი ფიქრობს, რომ საფეხბურთო ლატარიის გათამაშება, ასე ვთქვათ, სწრაფად ხდება და ამის გამო სკეპტიკურად განწყობილ ბილეთის მფლობელს შეიძლება რაიმე ეჭვიც დაებადოს...**

— ჩვეულებრივი ლატარიის გათამაშებაში ერთი მოგების ამოღებას საერთოდ 30-40 წამი სჭირდება. ჩვენ კი საფეხბურთო ლატარიის გათამაშებისას 8-9 წუთს ვანდომებთ ამას. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ საფეხბურთო ლატარია სწრაფად თამაშდება. აქ, ვფიქრობ, საპრეტენზიო არაფერია. ჩვენ რამდენიმე რეპეტიცია ჩავატარეთ საფეხბურთო ლატარიის გათამაშებისა, რათა დრო რაც შეიძლებოდა „დაგვეწურა“. მოგეხსენებათ, ტაიმებს შორის შესვენება სულ 12-13 წუთს გრძელდება.

● **რედაქციაში განუწყვეტლივ რეკავენ: აინტერესებთ, როგორ მიიღებს მოგებას ბედნიერი ბილეთის მფლობელი, თუ მოხდა შემთხვევა და თვითონ ვერ დაესწრო მოგებას?**

— ჯერ ერთი, საფეხბურთო ლატარიას „ერთგულების ლატარია“ ჰქვია და ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ნამდვილი გულშემატკივარი თამაშს უნდა დაესწროს. მეორეც, სერიის ბილეთზე აღნიშნულია, რომ მოგებული ნივთი მხოლოდ იმავე დღეს, თამაშის დამთავრების შემდეგ გაიცემა. ცხადია, არც გამონაკლისს გამოვრიცხავ. თუ ვინმე ვერ შეძლებს სტადიონზე მოსვლას და მის ბილეთს მოგება ხვდა, ლატარიის გამთამაშებელი კომისია ცალკე იმსჯელებს ამ საკითხზე. დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოგება მოგვიანებითაც გაიცემა..

● **ზოგიერთი გულშემატკივარი უკმაყოფილო დარჩა იმის გამო, რომ საფეხბურთო ლატარიის პირველ გათამაშებაში ჯერ მოასწრო ბილეთის შეძენა. რით იყო ეს გა-**

(დასასრული მე-4 გვ.)

სტრესი და სპორტი

ყოველთვის სწორად ვაფასებთ შექმნილ სიტუაციას? — სვამს კითხვას სელიე. არადა სწორედ ამ სიტუაციის შეფასებაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სახის ჰორმონების ჯგუფი ჩაერთვება ბრძოლაში. მაგალითად, ვთქვათ რაიმე ხიფათის წინაშე დგახართ. თუ სწორად შეაფასებთ მდგომარეობას და დარწმუნდებით, რომ იგი არცთუ ისე სახიფათოა, დამშვიდდებით და თქვენი რეაგირება სინტაქსური იქნება. მაგრამ იგივე ხიფათი თქვენ შეიძლება გაზვიადებულად შეაფასოთ, დაინახოთ მასში გარდაუვალი საფრთხე, თუმცა ასეთი რამ სინამდვილეში შეიძლება არც არსებობდეს, ამ მცდარმა შეფასებამ კი თქვენში გამოიწვიოს ბრძოლისათვის მზადყოფნა, კატატოქსიკური რეაქცია. თუ ასეთი პიროვნება გულით ავადმყოფია, ამ კატატოქსიკური ჰორმონების ზეგავლენით შეიძლება დაეწყოს გულის შეტევა, რომელიც მას დაღუპავს. ასეთ სიკვდილს ჰანს სელიე უწოდებს „ბიოლოგიურ თვითმკვლელობას“, რაც გამოწვეულია სიტუაციის არასწორი, არაადექვატური შეფასებით, როცა სინტაქსურის მაგიერ ხდება კატატოქსიკური რეაქცია. ამიტომ სელიე სიტუაციის სწორ შეფასებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ამრიგად, ყოველგვარი დაძაბულობა, ფიზიკური თუ ფსიქიკური, ყოველგვარი შემოქმედებითი მუშაობა, ყოველგვარი პასუხისმგებლობა ორგანიზმზე სტრესულ ზემოქმედებას იწვევს. მაგრამ საქმიანობასთან დაკავშირებული სტრესული ზემოქმედება ორგანიზმში თურმე დაპროგრამებულია მისი ევოლუციური განვითარებით და აუცილებელი პირობაა ადამიანის ცხოვრებისათვის, აუცილებელი, რა თქმა უნდა, იმ დროს, როცა დაკისრებული მოვალეობა და პასუხისმგებლობა შეესაბამება ორგანიზმის პოტენციურ შესაძლებლობებს, რადგან რაც ერთისათვის ჩვეულია, მეორესათვის მიუღწეველია. სწორედ ამით განსხვავდებიან გმირები ჩვეულებრივი მოკვდავებისაგან. ყოველ ადამიანს მისთვის დასაძლევი სტრესული დატვირთვის ატანა შეუძლია, მაგრამ „სტრესის გარეშე სიცოცხლე წყდება“. ამ კონცეფციის ავტორი სელიე, თავის წიგნში „ცხოვრების სტრესი“ აღნიშნავს, რომ სტრესი პოტენციური ძალების განვითარების საუკეთესო საშუალებაა როგორც გონებისათვის, ისე სხეულისათვის. სინამდვილეშიო, ამბობს იგი, მხოლოდ სტრესის კულმინაციით შეიძლება ინდივიდი ჩამოყალიბდესო. აქტიური შრომა ადამიანს ესაჭიროება ისევე, როგორც წყალი, საჭმელი და ძილი. და პირიქით, უმოქმედობას, შემოქმედებით დაუძაბველობას ორგანიზმი მიჰყავს ისეთ სტრესებამდე, რასაც შეუძლია ძლიერი პათოლოგიური ძვრები გამოიწვიოს.

ყოველგვარი სტრესული ზემოქმედებისას ორგანიზმის რეაქცია გაივლის სამ სტადიას, რომელთაც ჰანს სელიე საერთო ადაპტაციის სინდრომს მიაკუთვნებს. ესენია: **განგაშის სტადია** — პირველდაწყებითი, არაეკონომიური რეაქცია სტრესულ ფაქტორზე. ამ რეაქციით იწყება ორგანიზმის მთელი შინაგანი თავდაცვითი ძალების მობილიზება. ამ დროს მატულობს გულისცემის სიხშირე, იზრდება, ადრენალინის სეკრეცია, ღვიძლიდან სისხლში შაქარი გამოიყოფა და ა. შ. ამ სტადიაში წარმოიქმნება ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე ადაპტაცია სტრესისადმი; **რეზისტენტობის** ანუ წინააღმდეგობის სტადია. აქ სულ სხვა სახის ძვრები წარმოიქმნება, ბევრ შემთხვევაში საწინააღმდეგო იმისა, რაც განგაშის სტადიაში ხდება. გულისცემის სიხშირე ამ სტადიაში სტაბილიზაციას აღწევს და უფრო ეკონომიურია. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქს, რომელმაც ჰორმონები გამოყო სისხლში, რეაქციის (განგაშის) პირველ სტადიაში, შეეძლო ამ ჯირკვალთა შესაძლებლობა ამოეწურა, მაგრამ მეორე სტადიაში თირკმელზედა ჯირკვლის ქსოვილი აძლიერებს ამ ჰორმონების გამოყოფის შესაძლებლობას სეკრეტორულ გრანულთა (ნაწილაკთა) დიდი რაოდენობით დაგროვების ხარჯზე. ქრონიკული (ხანგრძლივი) ადაპტაცია სტრესების მიმართ სწორედ მეორე სტადიაში იჩენს თავს; **რეადაპტაციის** ანუ გამოფიტვის სტადია. ინტენსიური სტრესის ხანგრძლივი ზემოქმედება ორგანიზმის ადაპტაციურ შესაძლებლობათა ამოწურვას იწვევს, რის შედეგადაც ადამიანი შეიძლება მწყობრიდან გამოვიდეს.

სელიეს სტრესმა ფართო გამოხმაურება და აღიარება ჰპოვა ყველა დარგში, მათ შორის სპორტის თეორიასა და პრაქტიკაში. ადაპტაციურმა სინდრომმა სულ უფრო და უფრო მეტი მომხრე გაიჩინა. ავსტრიელი მეცნიერი ლ. პროკოპმა თავის წვრთნის განვითარების ფაზობრივ თეორიაში დაეყრდნო სელიეს ადაპტაციურ სინდრომს და გამოკვეთა სპორტული ფორმის განვითარების სამი სტადია: 1. საკუთრივ შეგუების ანუ ადაპტაციისა, 2. უმაღლესი შეგუების ანუ უმაღლესი სპორტული ფორმისა, 3. რეადაპტაციის ანუ გამოფიტვისა. წვრთნის პრობლემათა ცნობილი საბჭოთა მკვლევარი პროფესორი ლ. მატვეევი, განიხილავს რა ჰ. სელიეს თეორიას, აღნიშნავს, რომ ინტენსიური დატვირთვა, რაც განაპირობებს სპორტულ ფორმაში შესვლას და მის შენარჩუნებას, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტრესები. ასეთ დატვირთვებს კი, თუ იგი დიდხანს გრძელდება, შეუძლია სპორტსმენში რეადაპტაციური ცვლილებები გამოიწვიოს.

თანამედროვე დიდი სპორტის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაღალი და ინტენსიური დატვირთვისას (ურომლისოდაც შეუძლებელია სპორტულ ფორმაში შესვლა) ორგანიზმი უჩვეულოდ მძიმე სტრესულ ზემოქმედებას განიცდის და არ შესწევს უნარი გამუდმებით ამ მდგომარეობაში (სპორტულ ფორმაში) იყოს. მაგრამ მართებული არ იქნება დავასკვნათ, თითქოს ორგანიზმს მთლიანად უნდა ავაცილოთ სტრესული დატვირთვები აშშ-ის მოცურავეთა ეროვნული გუნდის ცნობილი მწვრთნელის, ინდიანას შტატის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის პროფესორის ჯ. კაუნსილმენის აზრით, მშობლები, რომლებიც ცდილობენ აარიდონ თავიანთი ბავშვები სტრესს, ისეთსავე ზიანს აყენებენ მათს პოტენციურ შესაძლებლობათა განვითარებას, როგორც ის დედები და მამები, რომლებიც მეორე უკიდურესობაში ვარდებიან და თავიანთ შვილებს აყენებენ სტრესებს იმ რაოდენობით, რომ მოზარდები მათ მიმართ ადაპტირებას ვერ ახდენენ. იგი აღნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებში სპორტულ ცურვაში კარგად შედგენილი პროგრამა შესაბამისი მოცულობით მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ სტრესებს. სტრესი აუცილებელია სპორტსმენის წრთობისათვის. სწორედ ამ კანონზომიერებებს ემყარება თანდათანობითობისა და ზღვრულ დატვირთვათა ტენდენციების ურთიერთკავშირის პრინციპი წვრთნაში. ზღვრული დატვირთვა, სტრესის გამომწვევ სტრესორად (სტრესორი — სტრესის გამომწვევი ფაქტორია) ითვლება და მას წინ უნდა უსწრებდეს დატვირთვის თანდათანობითი ზრდა და ორგანიზმის მომზადება ამ სტრესორისადმი.

რა დასანანია, რომ ასეთი დიდი შრომით მიღწეული მიგნება მხოლოდ თეორიად რჩება და ვერ პოულობს თავის პრაქტიკულ განხორციელებას.

ამრიგად, სტრესი ფართო ცნებაა და იგი სულ უფრო მეტ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს სპორტში. ამ წერილის მიზანი იყო გაგვემახვილებინა სპეციალისტთა ყურადღება სტრესის მიმართ და ფართო მკითხველისათვის გასაგებ ენაზე მოგვეწოდებინა ამ თეორიის არსი. საკითხით დაინტერესებულებს ვურჩევთ წაიკითხონ **«Стресс и тревога в спорте». Международный сборник научных статьей».**

(ФиС 1983)

მიხეილ ოყროშიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 70.



საუკეთესო შედეგით უპასუხა

სატრეკო ველოსპორტში, ოლიმპიურ დისტანციებზე რბოლის გარდა, ზოგჯერ ისეთი საინტერესო და ერთის შეხედვით უცნაური შეჯიბრებები იმართება, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს, შესაძლოა, თავგზაც კი აებნას. 10 აპრილს საკავშირო შეჯიბრებაც თბილისის ველოდრომზე ერთ-ერთი ასეთი პაექრობით, წყვილთა ე. წ. ჰანდიკაპით დაიწყო. მისი არსი ასეთია: ერთ-ერთი მეწყვილე შეჯიბრებას თანაგუნდელზე ოციოდე მეტრით წინ იწყებს, ხოლო ეს უკანასკნელი მისი დაწევის ცდაში 400-მეტრიან დისტანციას იმაზე სწრაფად ფარავს, ვიდრე მარტოდმარტო რბოლის დროს შეძლებდა. მომდევნო ცდაზე პოზიცია იცვლება. გამარჯვებულად ითვლება ის წყვილი, რომელიც ორი ცდის ჯამში უკეთეს დროს აჩვენებს (ფიქსირდება მხოლოდ „მდევრის“ მიერ ნაჩვენები დრო). ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ასეთ შეჯიბრებაში წარმატების მოპოვება ყველაზე მეტად ჰიტის და სპრინტის ოსტატებს შეუძლიათ.

შეჯიბრებაში მონაწილე წყვილები ისეთი თანმიმდევრობით ასპარეზობდნენ, რომ უძლიერესებს ყველაზე ბოლოს უწევდათ გამოსვლა. ვიდრე ჯერი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებზე მიდგებოდა, ყველაზე უკეთესი დრო — 27,785 შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა ს. იგნატოვმა აჩვენა. მისი პარტნიორი ასევე არმიელი სპორტსმენი ს. ვარვანინი გახლდათ. ეს შედეგი მომდევნო რბოლაში 0,105 წამით გააუმჯობესა საკავშირო ნაკრების წევრმა ა. კოროტკოვმა, მაგრამ ყველაზე დიდი ინტერესი მაინც ს. კოპილოვ — ო. მჭედლიშვილის და ა. დოცენკო — ე. გელაშვილის წყვილების გამოსვლამ გამოიწვია. ორივე „დუეტმა“ სტარტი ერთდროულად, ტრეკის ოვალის სხვადასხვა მხარეს აიღო. ემზარ გელაშვილის მიერ 400-მეტრიან დისტანციაზე ნაჩვენები დრო შედარებით მოკრძალებული აღმოჩნდა — 28,612. სამაგიეროდ შესანიშნავად იასპარეზა ოთარ მჭედლიშვილმა. პირველ ცდაზე მან ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია — 27,191. პირველი ადგილის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო — ყველამ კარგად იცოდა სპორტის დამსახურებული ოსტატის სერგეი კოპილოვის ძალა. მაგრამ კოპილოვ-მჭედლიშვილის წყვილს მაინც გაუჩნდა მცირეოდენი საფიქრალი — კოროტკოვის თანაგუნდელის, ცნობილი ტაშკენტელი სპორტსმენის ალექსანდრე პანფილოვის მიერ მეორე ცდაზე ნაჩვენები დრო მართლაც „დიდოსტატური“ აღმოჩნდა — 26,839. ორი ცდის შემდეგ ამ წყვილმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა — 54,513, მაგრამ მეტოქეთა ამ გამოწვევას მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა დღის საუკეთესო შედეგით უპასუხა — 26, 248. შემდეგ კოპილოვ-მჭედლიშვილის წყვილმა მეტოქეთა „ტანდემს“ ორი ცდის ჯამშიც გაუსწრო და გაიმარჯვა.

წყვილთა ასპარეზობის შემდეგ დაიწყო ჯგუფური რბოლა 50 წრეზე 10 შუალედური ფინიშით. 15 წრის შემდეგ 9 ქულით ტულელი სპორტსმენი ა. კლიმოვი ლიდერობდა, მაგრამ მოულოდნელად ძირითად ჯგუფს 5-კაციანი რაზმი გამოეყო და მკვეთრად უმატა სისწრაფეს. ხუთეულის წევრები, რომელთა შორის ოლიმპიური მომზადების ცენტრის „ივერიის“ წარმომადგენელი კობა აბაიშვილიც იყო, კარგად ეხმარებოდნენ ერთმანეთს, რიგრიგობით ლიდერობდნენ და მათი დაწევა ვარავინ შეძლო, ვიდრე ისინი ერთი წრის უპირატესობას მოიპოვებდნენ, სამ შუალედურ ფინიშზე გათამაშებული პრემიალური ქულებიც მათი კუთვნილება გახდა. თანაც, სამივეჯერ წინ ტულის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის წარმომადგენელი ალექსანდრე პუზაკოვი იყო. ამასობაში ძირითად ჯგუფს „გაექცა“ კიდევ სამი მრბოლელი ა. კლიმოვი, ს. სურკოვი და ა. ჩასოვნიკოვი. მართალია, მალე მათ ერთი წრით დისტანციურ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ქულებით პუზაკოვს მაინც ვერავინ დაეწია. იგი ჩემპიონი გახდა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ტექნიკური შედეგები:

წყვილთა რბოლა. 1. ს. კოპილოვი — ო. მჭედლიშვილი — 53,439, 2. ა. პანფილოვი — ს. კოროტკოვი (ორივე — სსრკ ნაკრები) — 54,513, 3. ს. ვარვანინი — ს. იგნატოვი (შეიარაღებული ძალები) — 55,851.

50 წრეზე ჯგუფური რბოლა. 1. ა. პუზაკოვი — 16 ქულა; 2. ა. კლიმოვი — 12 (ორივე — ტულა), 3. ა. ჩასოვნიკოვი (შეიარაღებული ძალები) — 10. (სამივეს ერთი წრის დისტანციური უპირატესობაც ჰქონდა).

ველოსპორტი

გუშინ რუმინეთიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს ძიუდოისტთა გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირში. ამ შეჯიბრების შედეგებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი დილარ ხაბულიანი:

კობა კურტანიძე.

ჩემპიონის, პრიზიორის

— საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები, როგორც ცალკე გუნდი, პირველად მონაწილეობდა ბუქარესტის ტურნირში. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის კვალიფიკაციით ეს არის პირველი კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც, როგორც წესი, ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს. ამჯერად ბუქარესტში საასპარეზოდ ჩავიდნენ 13 ქვეყნის სპორტული დელეგაციები. ჩვენ სულ ხუთი ძიუდოისტი წავიყვანეთ: გია გოგოლაური, ჯემალ მჭედლიშვილი, კობა კურტანიძე, ბორის გოგიჩაშვილი და აკაკი კიბორძალიძე (თამაზ ნამგალაური და მალხაზ ბერუაშვილი, როგორც ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების რეალური კანდიდატები, საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა გაათავისუფლეს ამ შეჯიბრებიდან, ხაბარელი კი „ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა). გუნდს ვახლდით საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი და მე.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო 20 წლის გორელი ფალავნის კობა კურტანიძის (95 კგ) ჩინებული ჭიდაობა. კობამ ყველა მეტოქე (წმინდად დაამარცხა (ფინალში მან ფრანგ ჟოელ დელმერს მოუგო) და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ამ გამარჯვებით მან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ქვემძიმე წონაში გამოდიოდა აგრეთვე ბორის გოგიჩაშვილი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. წინასწარი შეხვედრები დამაჯერებლად მოიგო ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ (მძიმე წონა). იგი ფინალშიც ახლოს იყო მიზანთან (აქ რუმინელ მიხაი ჩოკუს ხვდებოდა), მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა და II ადგილზე გავიდა. 86 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ჯემალ მჭედლიშვილმა. ერთი სიტყვით, ხუთი ქართველი მოჭიდავიდან ოთხი შინ მედლით დაბრუნდა (მხოლოდ გია გოგოლაურს არ გაუმართლა. მან სტარტზე ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო, მაგრამ შემდეგ ტრავმის გამო შეჯიბრება ველარ გააგრძელა).

ძიუდო

საიმედო ცვლა

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს პირველობა 1963-66 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. შეჯიბრებაზე გამონაკლისის სახით დაშვებული იყო 1967 წელს დაბადებული რამდენიმე სპორტსმენიც. ასპარეზობაში მონაწილეობდა ყველა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების 280 ძიუდოისტი. გუნდური პირველი ადგილი 41,5 ქულით მოიპოვეს დინამოელებმა (მწვრთნელები ბ. მაზიაშვილი, ო. მერაბიშვილი, რ. მაისურაძე), მეორე ადგილზე გამოვიდა „ბურევესტნიკის“ (26 ქულა), ხოლო მესამეზე „შრომითი რეზერვების“ (18 ქულა) კოლექტივი. წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: რობერტ აბუაშვილი („ბურევესტნიკი“), ელგუჯა ჯანგირაშვილი, ბიჭიკო ჯიქური (ორივე — ასკ), ზურაბ ჭელიძე („დინამო“), პავლე ბუზარიაშვილი (ასკ), შერმადინ მიქელთაძე, ავთანდილ გუბელაძე (ორივე — „დინამო“). ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა აბსოლუტურ წონით კატეგორიაშიც.

სარეველა უნდა ამოიძირკვოს

რეპლიკა

არა და არ გადაშენდნენ ბაშიბუზუკები ჩვენს ფეხბურთში... როგორც „ლელო" უკვე იუწყებოდა 22 მარტის ნომერში, სამწუხაროდ არც საქართველოს ჩემპიონატის გახსნას ჩაუვლია ინციდენტების გარეშე.

მაიაკოვსკის „საირმე" ვანში ადგილობრივ გუნდს „სულორს" ხვდებოდა, წულუკიძის „იმერეთი" კი გაგრის „დინამოს" მასპინძელი გახლდათ. ორივე მატჩზე ინსპექტორებად მივლინებული იყვნენ რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები, მაგრამ ხულიგანი განა ინსპექტორს დაგიდევს? ხულიგანი იმის ხულიგანია, რომ, თუ აიწყვიტა, რიდიც დაივიწყოს, პატივისცემაც და პასუხისმგებლობის გრძნობაც.

მაინც რა მოხდა იმ ორ მატჩზე? ვანში — „საირმის" ფეხბურთელებმა ვ. არქანიამ, ზ. კვირიკაძემ და დ. ხიზანიშვილმა შეურაცხყოფა მიაყენეს მატჩის მსაჯს ი. ლორთქიფანიძეს, აგინეს და ხელითაც შეეხნენ;

წულუკიძეში — „იმერეთის" მოთამაშეები უშვერად იგინებოდნენ, ვ. ბერძენიშვილი და ვ. დანგაძე დაუფარავად უშლიდნენ ხელს მატჩის მსაჯებს. ბერძენიშვილმა, მაგალითად, ისიც კი გაბედა, რომ მაისურში ექაჩებოდა არბიტრს, როცა მისი გადაწყვეტილება ჭკუაში არ დაუჯდებოდა.

რა ხდება, ხალხო? განა ვინმეს შეხსენება სჭირდება, რომ მსაჯი უნდა დავიცვათ და მუშტი-კრივში მოვარჯიშე ხულიგნებს საწვრთნელ ფიტულად არ მივუგდოთ? ლიბერალიზმი აქ უადგილოა. ხულიგნებს, რომლებმაც გაბედეს მსაჯზე აღემართათ ხელი, სამუდამოდ უნდა ამოვუკვეთოთ ფეხი სპორტიდან. არც ის იყო სწორი, რომ გუნდის მწვრთნელს მითითება აკმარეს. მსჯელობის საგნად უნდა ქცეულიყო ვანელ ფეხბურთელთა საქციელიც, რომლებმაც თავიანთ მინდორზე მსაჯი ხულიგნებს შეატოვეს ხელში.

საკვირველია სპორტულ-ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება წულუკიძეში მომხდარი ინციდენტის გამო. ამ გადაწყვეტილებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მასპინძელთა გუნდზე — „იმერეთზე", რომელმაც ლანძღვა-გინება ატეხა მოედანზე. ვ. დანგაძე მსაჯს ხელს უშლიდა, მაგრამ გადაწყვეტილებაში არც მისი გვარია ნახსენები. რაც შეეხება ვ. ბერძენიშვილს, მას მიეცა დისკვალიფიკაცია მხოლოდ ხუთი მატჩით. ასე და ამგვარად, მთელი გუნდის უმსგავსი ქცევა შეფასდა როგორც ერთი ფეხბურთელის უწესობასთან დაკავშირებული ეპიზოდი.

ასეთი ლიბერალობა არც სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლაში მოგვიტანს წარმატებას და არც სპორტსმენთა აღზრდის საქმეს შეუწყობს ხელს.

თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს, თუ აღზრდაა, აღზრდა იყოს.

ვლადიმერ მდივანი.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	5	3	2	0	11-2	8
„სპარტაკი"	5	3	2	0	7-3	8
„ტორპედო"	5	3	1	1	5-3	7
„შახტიორი"	5	2	3	0	12-8	7
„მეტალისტი"	5	2	3	0	5-3	7
ასკ რ.	5	3	0	2	8-6	6
„დნეპრი"	5	2	1	2	7-7	5
„ზენიტი"	5	1	3	1	6-5	5
„დინამო" მნ.	5	1	3	1	7-7	5
ცსკა	5	1	3	1	5-5	5
„ჩერნომორეცი"	5	2	0	3	5-7	4
„ნეფთჩი"	5	2	0	3	5-10	4
„ქაირათი"	5	1	2	2	7-9	4
„დინამო" თბ.	5	1	2	2	2-4	4
„ჟალგირისი"	5	0	4	1	4-7	4
„დინამო" მ.	5	1	1	3	7-11	3
„არარატი"	5	1	0	4	8-10	2
„ფახთაქორი"	5	1	0	4	4-8	2

საქართველოს პირველობა

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს პირველობის III ტურის მატჩები II ჯგუფის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ზონა. „ალგეთი" (მარნეული) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:0, „ვარძია" (ასპინძა) — „იორი" (თიანეთი) 2:0, „იბერია" (ქარელი) — „ქიზიყი" (წნორი) 3:1, „მაშავერა" (დმანისი) — „აბული" (ახალქალაქი) 1:0, „მშენებელი" (ჭიათურა) — „იმედი" (რუსთავი) 2:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „განთიადი" (კასპი) 2:0, „ზარზმა" (ადიგენი) — „თრიალეთი" (წალკა) 1:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:0.

დასავლეთი ზონა. „ოდიში" (ზედა ეწერი) — „ნარინჯი" (ნატანები) 1:3, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „მუქურა" (ქობულეთი) 1:1, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „კოლმეურნე" (ტყიბული) 1:1, „იმერეთი" (ქუთაისი) — „ნარინჯი" (გონიო) 4:1, „ავტომობილისტი" (აბაშა) — „თოლია" (ბათუმი) 3:2, „ნარუჯა" (მახარაძე) — „რაჭა" (ამბროლაური) 2:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „სენაკი" (ცხაკაია) 4:0, „კოლმეურნე" (გულრიფში) — სუბტროპ. ინსტიტუტი (სოხუმი) 2:0, „ნაპერწკალი" (ოქუმი) — „ხვამლი" (ცაგერი) 4:1.

• • •

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 12 აპრილისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„ავტომბ."	4	4	0	0	10-1	8
„სპარტაკი"	4	3	1	0	13-3	7
„ივერია"	4	3	1	0	9-3	7
„შევარდენი"	4	3	0	1	8-3	6
„დურუჯი"	4	2	2	0	4-3	6
„კახეთი"	3	2	1	0	4-0	5
„მეტალურგი"	3	2	1	0	4-2	5
„იმედი"	4	1	2	1	4-3	4
„ჰერეთი"	4	1	1	2	4-5	3
„ალაზანი"	4	1	0	3	3-11	2
„მადნეული"	3	0	3	0	3-3	3
„არმაზი"	3	0	2	1	5-8	2
„თორი"	4	0	2	2	2-5	2
პოლ. ინსტ.	4	0	1	3	2-5	1
„არაგვი"	4	0	1	3	2-6	1
ფიზკ. ინსტ.	4	0	1	3	1-8	1
„სამგორი"	4	0	1	3	3-12	1

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„მზიური"	4	3	1	0	11-4	7
„დინამო" ზ.	4	3	1	0	9-5	7
„საპოვნელა"	4	2	1	1	10-5	5
„მეტალურგი"	4	2	1	1	7-3	5
„დინამო" გ.	4	2	1	1	6-3	5
„მადრევანი"	4	2	1	1	6-4	5
„სულორი"	4	2	1	1	4-4	5
„სამეგრელო"	4	1	3	0	3-1	5
„გიგანტი"	4	2	0	2	3-2	4
„ეგრისი"	4	1	2	1	6-6	4
„მალაროელი"	4	1	2	1	2-3	4
„ამირანი"	4	1	1	2	5-5	3
„სქური"	4	1	1	2	3-5	3
„კოლხეთი"	4	1	1	2	9-12	3
„ბახმარო"	4	1	1	2	2-6	3
„სალხინო"	4	1	1	2	3-8	3
„იმერეთი"	4	0	1	3	2-7	1
„საირმე"	4	0	0	4	2-10	0

სტატისტიკაც პოეზიაა...

დამეთანხმებით, იშვიათი შემთხვევაა, ჟურნალისტი ჟურნალისტს სთხოვდეს ინტერვიუს. მსგავს მასალებს მხოლოდ პრესის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ საგაზეთო ნომრებში თუ შეხვდება კაცი. მაგრამ ამჯერად გადავწყვიტეთ დაგვერღვია ტრადიცია და „ლელოს" ფურცლებზე მოგვეწვია კონსტანტინ ესენინი — ადამიანი, რომელსაც საფეხბურთო წრეებში დიდი წარდგენა არ სჭირდება.

თუმცა არც ის იქნება სწორი, თუ ესენინის მოღვაწეობას მარტოოდენ სპორტული ჟურნალისტიკით ან საფეხბურთო სტატისტიკით შემოვფარგლავთ. პროფესიით იგი ინჟინერ-მშენებელია, ფეხბურთთან და ჟურნალისტიკასთან კი მხოლოდ სიყვარული აკავშირებს, მაგრამ სწორედ ამ სიყვარულმა აქცია ერთიც და მეორეც მისი ცხოვრების მთავარ გატაცებად, ან, როგორც თავად ამბობს, მის უმთავრეს საქმედ.

მუდამ მაინტერესებდა როგორ მოხდა, რომ სერგეი ესენინისთანა პოეტის შვილი ისეთ არაპოეტურ საქმიანობას ეწევა, როგორიც სპორტული სტატისტიკაა. ერთ ხანს დავაპირე, ამის შესახებ მეკითხა კიდეც მისთვის. მაგრამ ჩვენი საუბარი დაიწყო თუ არა, ამ შეკითხვამ ყოველგვარი აზრი დაკარგა: ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ ციფრები, უფრო სწორად — საფეხბურთო ციფრები მისთვის პოეზიაცაა, გატაცებაც და სიყვარულიც.

— სპორტულ ჟურნალისტიკაში ჩემს პირველ ნაცოდვილარს რომ ვიხსენებ, ლამის დავიწვა სირცხვილისაგან. ახლაც მახსოვს ერთი ფრაზა ჩემი პირველი გულუბრყვილო პუბლიკაციიდან, რომელიც მოსკოვის „პიშჩევიკისა" და ბაქოს „ტემპის" ფეხბურთელთა მატჩს ეხებოდა: „ბრწყინვალედ თამაშობდა მეკარე ნიკანოროვი". ეს გახლდათ 1938 წელი.

● **არ იფიქროთ, თითქოს გამოწმებდეთ, მაგრამ თქვენს საოცარ მეხსიერებაზე იმდენი მსმენია, რომ...**

— შეგიძლიათ აღარ დაამთავროთ. ვიცი, რაც გინდათ მკითხოთ და ახლავე გიპასუხებთ: ის მატჩი მოიგო „პიშჩევიკმა" — 1:0. მეხსიერებას კი ახალგაზრდობაში მართლაც არ ვუჩიოდი. გარდა ამისა, სამნიშნა ციფრებს ზეპირად ვამრავლებდი ერთმანეთზე. ახლა კი... თუმცა რა გასაკვირია. ხომ ხედავთ, კასპაროვის უპირატესობას სმისლოვთან, მე კი სწორედ სმისლოვის ხნისა ვარ. ახალგაზრდობა უკვე თავისთავად დიდი უპირატესობაა.

● **რაკი ახალგაზრდობაზე ჩამოვარდა სიტყვა, იქნებ გვიამბოთ, როგორ და როდის დაუკავშირდით ფეხბურთს, საფეხბურთო სტატისტიკას?**

— დავიწყებ სულ თავიდან. შვიდი წლის ვიყავი, როცა ჩემმა მამინაცვალმა, ცნობილმა რეჟისორმა ვსევოლოდ მეიერჰოლდმა პირველად წამიყვანა სტადიონზე. ეს იყო ლენინგრადში 1927 წლის 4 სექტემბერს. იმხანად უცხოური გუნდების ხილვით განებივრებული არ ვიყავით და ამიტომ მათი ყოველი ვიზიტი (მაშინ ინგლისის მუშათა გუნდი იყო ჩამოსული) ნებისმიერი ქალაქის ცხოვრებაში დიდ მოვლენად იქცეოდა ხოლმე. ის შეხვედრა ადგილობრივმა ლოსპს-მა მოუგო ინგლისელების საკმაოდ სუსტ გუნდს — 1:0, მაგრამ ეს მატჩი არ ქცეულა ჩემი საფეხბურთო მოღვაწეობის დასაბამად. ფეხბურთის სენი ოთხი წლის შემდეგ, 11 წლისას შემეყარა. სწორედ 1931 წელს გავხდი ამ თამაშის გამოუსწორებელი ქომაგიც და მისი სტატისტიკოსიც. ყოველივე ეს, როგორც ახლა ვხვდები, ორმა ამბავმა განაპირობა. იმ წელიწადს თურქეთის ნაკრებმა ამხანაგური მატჩები გამართა მოსკოვში. მე ქალაქგარეთ გახლდით დასასვენებლად და მეზობლის ბიჭმა თვითნაკეთი ტრანზისტორით დაიჭირა ერთ-ერთი შეხვედრის რეპორტაჟი. ტრიბუნების ხმაური, ცალკეულ გულშემატკივართა შეძახილები, ყიჟინა იმდენად მომაჯადოებელი იყო, რომ რაღაც ზღაპრულ სამყაროში მეგონა თავი. ასე გავხდი გულშემატკივარი. რაც შეეხება სტატისტიკოსობას, აქ მა-[illegible]უნებურად დიდი როლი ითამაშა ბაბუაჩემმა. იმავე 1931 წლის შემოდგომაზე ავად გავხდი და ბაბუაჩემმა (ხომ უნდა გავერთე რაიმით) მომიტანა ილუსტრირებული ჟურნალი „სპარტაკი", რომელიც ლენინგრადში გამოდიოდა. მის გარეკანზე ორთქლმავალი იყო გამოსახული და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაბუა რკინიგზელი იყო, გასაგები გახდება, რატომ აირჩია მაინცდამაინც ეს გამოცემა. ერთი სიტყვით, მეტი რა საქმე მინდა და ამ ჟურნალის თვალიერებას შევუდექი. იქ დაბეჭდილი იყო ლენინგრადის საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილები. ამ ქალაქის პირველობაში 14 ათასამდე ფეხბურთელი გამოდიოდა — თითო კლუბს ხომ ხუთი გუნდი გამოჰყავდა! საკმაოდ რთული იყო ქულათა დათვლის სისტემაც და ამიტომ თავიდან ამდენმა ციფრმა ცოტა არ იყოს დამაბნია, მაგრამ ამან გამიტაცა კიდეც. როცა თანდათან გავერკვიე ციფრებში და თავადაც დავიწყე მიმატება-გამოკლება, ეს საქმიანობა შემიყვარდა. თავიდან მხოლოდ მატჩების ანგარიშებს ვიწერდი, შემდეგ გოლების აღნუსხვას მოვკიდე ხელი, თუმცა „სერიოზული" სტატისტიკოსი უფრო მოგვიანებით, 1934 წელს გავხდი.

● **მაგრამ სტატისტიკოსობა ხომ სულაც არ ნიშნავს ჟურნალისტობას?**

— ჩემს პირველ ჟურნალისტურ ცდაზე უკვე მოგახსენეთ. ამა თუ იმ გამოცემაში ჩემი ანგარიშის შედეგებსაც ვაქვეყნებდი. მაგრამ მერე ომი დაიწყო, ფრონტზე ოთხჯერ დავიჭერი და იქიდან რომ დავბრუნდი, სპეციალობით განვაგრძე მუშაობა. შვიდი-რვა წელი ჟურნალისტიკას არ გავკარებივარ, თუმცა სტატისტიკისთვის თავი არ დამინებებია. პრესას მწერალ იური ტრიფონოვის წყალობით დავუბრუნდი. საერთოდ, მწერლებთან ხშირი ურთიერთობა მიხდებოდა. სხვა თუ არაფერი, ჯერ „დინამოს" სტადიონზე, მერე კი ლუჟნიკზე ტრიფონოვთან, ალექსეი არბუზოვთან, ალექსანდრ გლადკოვთან, ისიდორ შტოკთან და სხვა ცნობილ მწერლებთან ერთად ვიჯექი. ერთხელ ტრიფონოვი და მე ჟურნალ „სპორტივნიე იგრის" რედაქციაში შევედით. ჩვენ, უფრო სწორად ტრიფონოვს, დიდი ამბით შეხვდნენ და მასთან სასაუბროდ თითქმის მთელი კოლექტივი შეიკრიბა. უცებ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ტრიფონოვმა ჩემსკენ გამოიშვირა თითი და განაცხადა: „აი, ამ კაცმა ყველა თქვენგანზე უკეთ იცის ფეხბურთი". სახტად დავრჩი მეც და ალბათ იქ მყოფნიც. ასე გაიხსნა „სპორტივნიე იგრი"-ში „სტატისტიკოსის კუთხე", რომელიც დღეს მეტად გულუბრყვილოდ მეჩვენება.

● **თქვენი აზრით, რისთვის არის საჭირო საფეხბურთო სტატისტიკა?**

— სამწუხაროდ, ბევრს ჰგონია, თითქოს სტატისტიკა ჩემთვის თავად ფეხბურთზე მნიშვნელოვანი რამ იყოს. ვინც ასე ფიქრობს, ღრმად შემცდარია. სულაც არ ვარ იმის მომხრე, რომ გადაჭარბებით შევაფასო ციფრების მნიშვნელობა, ისიც კარგად ვიცი, რომ მათი შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია. მაგრამ ერთი რამ მაინც უდავოა: სტატისტიკა ანალიზის, ამა თუ იმ ფაქტის ახლებურად დანახვისა და შეფასების ბრწყინვალე საშუალებაა. ამავე დროს, იგი გულშემატკივართა და სპეციალისტთა წინაშე სვამს ახალ, ზოგჯერ მოულოდნელ კითხვებს, საოცრად წვრთნის გონებას...

● **მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ამჟამად საკმაოდ ბევრია ციფრების მოყვარული, ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში მაინც არის ზოგიერთი დაუდგენელი ფაქტი...**

— თუ საკავშირო ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებზე ვილაპარაკებთ, ასეთი „თეთრი ლაქა" არც ისე ბევრია. შეიძლება არ ვიცოდეთ, ვინ გაიტანა გოლები რომელიღაც მეორეხარისხოვან სათასო შეხვედრაში, რაც, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. ზოგიერთი სტატისტიკოსი ცდილობს იმ მატჩების უშუალო მოწმეთა და მონაწილეთა გამოკითხვის გზით შეავსოს „თეთრი ლაქები" (ზოგი იჩემებს კიდეც ამას), მაგრამ არა მგონია, ოფიციალურ დოკუმენტებში შესატანად გამოდგეს სუბიექტური პიროვნების მეხსიერებაზე დაყრდნობილი ფაქტები. ჩემი აზრით, უმჯობესია ისევ თეთრი ლაქები დარჩეს, ვიდრე ისინი უზუსტო ციფრებით შევავსოთ. საერთოდ, სტატისტიკას მეტად ვნებს პედანტური მიდგომა. მაგალითად, ზოგიერთისთვის მატჩის ოქმია ის უტყუარი საბუთი, რომლითაც სტატისტიკოსი უნდა ხელმძღვანელობდეს. ზოგი საგაზეთო ანგარიშს ანიჭებს უპირატესობას. პირადად ჩემთვის მთავარი ჭეშმარიტებაა. ახლავე აგიხსნით, რასაც ვგულისხმობ. ერთ-ერთ შეხვედრაში, რომელსაც ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს, სპარტაკელმა გავრილოვმა მეტოქის კარში გოლი გაიტანა, თამაშის ოქმში კი ვიღაცის უბრალო დაუდევრობით კალაშნიკოვის გვარი ჩაიწერა. სტატისტიკოსებმა, რომლებისთვისაც ოქმი წმიდათაწმიდა საბუთია (თუმცა მათ საკუთარი თვალით ნახეს, რომ ბურთი კალაშნიკოვს არ გაუტანია), სწორედ ამ ფეხბურთელის გვარი შეიტანეს თავიანთ დავთრებში. ამიტომ არის, რომ ჩემი გამოანგარიშებით გავრილოვს ერთი გოლით მეტი აქვს აქტივში, ვიდრე ზოგიერთი სხვა სტატისტიკოსის მონაცემებში.

● **კი მაგრამ, ხომ უნდა არსებობდეს რაღაც საერთო კრიტერიუმები, რაც გულშემატკივრებს თავგზას აღარ აუბნევს? ალბათ საჭიროა სტატისტიკოსებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეთ ერთმანეთთან.**

— საერთო კრიტერიუმები არსებობს, მაგრამ ასეთ გამონაკლის შემთხვევებში ვერავის უბრძანებ, მოდი და ოქმს ნუ ენდობი. რაც შეეხება კონტაქტებს, ისინი აუცილებელია. მე, მაგალითად, მუდამ დიდი ინტერესით ვეცნობი კიეველი ალექსანდრ გოლოვინის, მოსკოველი პაველ ალიოშინის, თბილისელი ვლადიმერ ივანოვის მოღვაწეობას. თბილისელი სტატისტიკოსები ვახსენე და მინდა ერთი რჩევა მივცე მათ. 30-იან წლებში თქვენს ქალაქში არსებობდა შესანიშნავი კოლექტივი — ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი, რომლის შესახებ დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის. არადა, 1935 წელს ქალაქის ნაკრებში ამ კოლექტივიდან მეტი ფეხბურთელი თამაშობდა, ვიდრე სახელგანთქმული „დინამოდან". ქალაქებს შორის პირველ საკავშირო ჩემპიონატში თბილისის ნაკრების კაპიტანიც ინდუსტრიული ინსტიტუტის წარმომადგენელი გახლდათ — შესანიშნავი ფეხბურთელი აბაშიძე. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ ვინმე ითავებდა ამ მშვენიერი გუნდის ისტორიის დაწერას. საჭიროა მხოლოდ სურვილი და არქივებში სათანადო მასალის მიკვლევა.

● **ყოველი სეზონის წინ „ფუტბოლ-ხოკეისა" და სხვა გამოცემებში ტრადიციულად ქვეყნდება უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრათა ბალანსი. თბილისის „დინამოს" მხოლოდ რამდენიმე მეტოქესთან აქვს უარყოფითი შეფარდება, მაგრამ ვინც ამ ცხრილს გულდასმით გაეცნობა, უთუოდ თვალში ეცემა თბილისელთა კატასტროფულად უარყოფითი ბალანსი მოსკოვის „დინამოსთან". არა მგონია, ამის ახსნა მხოლოდ „უხერხული მეტოქის" თეორიით შეიძლებოდეს...**

— სავსებით გეთანხმებით. ჩემი აზრით, აქ სულ სხვა მიზეზია. საქმე ის არის, რომ მოსკოვის „დინამო" გარკვეულ დრომდე ის გუნდი გახლდათ, რომლისთვისაც არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა სხვა კოლექტივებიდან მოთამაშეთა გადმობირება. აქედან გამომდინარე, მას არასოდეს აწუხებდა თაობათა ცვლის მტკივნეული საკითხი. თბილისელებს კი პირიქით, გარკვეული პერიოდების შემდეგ აუცილებლად ჰქონდათ გადასაწყვეტი ეს პრობლემა.

● **გეტყობათ, მოსკოვის „დინამოს" დიდი ტრფიალი არ უნდა იყოთ..**

— რაც ვთქვი, სიმპათია-ანტიპათიის გამო არ მითქვამს, უბრალოდ ფაქტი აღვნიშნე. ისე კი, ბავშვობიდან „სპარტაკის" ქომაგი ვარ. სწორედ სპარტაკელთა უბანში — კრასნაია პრესნიაზე დავიბადე, ხოლო ჩემი სკოლა 300 მეტრით იყო დაშორებული „ტრიოხგორკას" სტადიონს, სადაც ძმები სტაროსტინები და მათი მეგობრები ვარჯიშობდნენ. საერთოდ, მტკიცედ მწამს, რომ შეიძლება ჯერ ერთი ქალი გიყვარდეს, მერე კი სხვა შეიყვარო, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ხან ერთ გუნდს ეტრფოდე, ხან — მეორეს.

● **ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა, კონსტანტინ ესენინისთვის პროგნოზებზე არაფერი მეკითხა. ვინ მიგაჩნიათ ქვეყნის ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად?**

— ველოდი ამ შეკითხვას. ძირითადი ფავორიტი, ჩემი აზრით, ოთხია: მინსკის „დინამო", „დნეპრი", „სპარტაკი" და „ტორპედო". ამ სიაში მეხუთე ნომრად კიევის „დინამოსაც" შევიყვანდი, თუმცა ხუთეულში მოსახვედრად თბილისელებიც იბრძოლებენ.

დავით კაკაბაძე.

როგორ თამაშდება საფეხბურთო ლატარია?

დასასრული

მოწვეული და მომავალში რა გაკეთდება, რომ გულშემატკივართა მოთხოვნა მთლიანად დაკმაყოფილდეს?

— რა დასამალია, არ გვეგონა, თუ პირველი ტირაჟი ასეთ აჟიოტაჟს გამოიწვევდა და ბილეთები ძირითადად თავისუფლად გაიყიდა. კიევის დინამოელებთან მატჩის დღეს თითქმის აღარ დაგვრჩა ლატარიის ბილეთები, რამაც გულშემატკივართა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ხვალინდელი, რიგით მეორე ტირაჟისათვის ლატარიის ბილეთები მთლიანად გაიყიდება საფეხბურთო ბილეთებთან ერთად, მაგრამ შესაძლოა ყველას სურვილი მაინც ვერ დავაკმაყოფილოთ. შემდეგისათვის კი გავზრდით ბილეთების რაოდენობას და შესაბამისად მოგებათა რაოდენობაც მოიმატებს. თუკი ვინმე მოგვაწვდის საინტერესო წინადადებებს, შემდეგში როგორ გავავრცელოთ ლატარიის ბილეთები, მადლობელი დავრჩებით.

● **ხომ არ გვეტყოდით კონკრეტულად როგორ ტარდება ტირაჟი?**

— ტირაჟს ხელმძღვანელობს 15 კაცისგან შემდგარი კომისია, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი. კომისია ტაიმებს შორის იკრიბება საგანგებოდ სამხრეთ ტრიბუნის წინ მოწყობილ ბაქანზე. იქვე დაიდგმება ოთხი დოლურა. თითოეულს კონკრეტული დანიშნულება აქვს. მაგალითად, პირველში თავსდება 9 ცალი სპეციალური მასრა. თითოეულ მასრაში დევს დასახელება იმ ნივთისა, რომელიც თამაშდება. მეორე დოლურაში დევს 10 ცალი მასრა, რომლებშიც მოთავსებულია ლატარიის ბილეთის სერიის ათასეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი ციფრები. პირველი გათამაშებისას ეს იყო „00“ ათას „0“-დან „00“ ათას „9“-ის ჩათვლით. მეორე გათამაშებისთვის იქნება დაწყებული „01“ ათას „0“-დან „01“ ათას „0“-ის ჩათვლით და ასე შემდეგ, მომდევნო ტირაჟების შესაბამისად. მესამე დოლურაში მოთავსებულია ასი მასრა ლატარიის ბილეთების სერიის ათეულებისა და ერთეულების აღნიშვნით, კერძოდ, „00“-დან „99“-ის ჩათვლით. მეოთხე დოლურაში 75 მასრაა. ლატარიის ბილეთების ნომრები — „01“-დან „75“-ის ჩათვლით.

● **რათა მკითხველისთვის უფრო ნათელი იყოს, პრაქტიკულად როგორ ხდება მოგების დაფიქსირება, ხომ არ განვიხილოთ ერთი კონკრეტული მაგალითი? ვთქვათ, განვმარტოთ, როგორ ხვდა მოგება პირველ ტირაჟში „ვაზ-21013“ ავტომანქანას.**

— მას შემდეგ, რაც პირველი დოლურა დატრიალდა, ბავშვმა ამოიღო ერთი მასრა მოგების დასახელებით, ეს მოგება იყო ავტომანქანა „ვაზ-21013“. შემდეგ დატრიალდა მეორე დოლურა და მეორე ბავშვმა ამოიღო მასრა, რომელშიც იდო ციფრები „00 ათას 4“, მესამე დოლურიდან ამოვიდა ციფრები „83“, მეორე და მესამე დოლურებიდან ამოღებული ციფრების შეერთებით დადგინდა „იღბლის“ კუთვნილი სერია. ამის შემდეგ იმავე წესით მეოთხე დოლურიდან ამოვიდა ლატარიის ბილეთის №-ის აღმნიშვნელი ციფრი, ამ შემთხვევაში ბედნიერი ციფრი აღმოჩნდა „40“. ეს პროცესი თავიდან ბოლომდე აღინუსხა კომისიის საგანგებო უწყისებსა და ბარათებში.

● **როგორ თამაშდება ერთდროულად 75 ველოსიპედი ან ბურთი?**

— იმ შემთხვევაში, როცა პირველი დოლურიდან ბავშვი ამოიღებს მოგებას — ბურთს ან ველოსიპედს, მეორე და მესამე დოლურებიდან ზემოაღნიშნული პრინციპით ამოდის ციფრები, რადგან პირობების შესაბამისად ასეთი მოგება ერგება ამოღებული სერიის ყველა — 75 ნომერს, მეოთხე დოლურიდან ციფრის ამოღება საჭირო აღარ არის.

● **რამდენადაც ვიცით, მეორე, მესამე და მეოთხე დოლურებიდან ამოღებული ციფრები ისევ დოლურაში ბრუნდება. ხომ შეიძლება განმეორდეს მანამდე ამოსული მოგების სერია ან ნომერი?**

— ასეთი რამ დასაშვებია. მაგრამ კომისიას აქვს საგანგებო ჟურნალი, სადაც აღირიცხება გათამაშებული სერიები. თუ სერია გამეორდა, ეს გამოცხადდება და მოეწყობა გადათამაშება. ისევ „ვაზ 21013“-ის გათამაშების მაგალითი მოვიშველიოთ. თუ დოლურებში არ ჩავაბრუნებდით ციფრებს, მაშინ ტირაჟიდან ავტომატურად ამოვარდებოდა „00“ ათას „4“-ით დაწყებული ყველა სერია და ყველა სერია, რომელიც მთავრდებოდა ციფრით „83“. რაც შეეხება ნომრებს, მათი გამეორება ინსტრუქციის მიხედვით დასაშვებია, რადგან მასრების ამოღება მექანიკური პროცესია.

კალეიდოსკოპი

მონაწილეობენ ძმადნაფიცი ქალაქების ველომრბოლელები

გუშინ მტკვრის სანაპიროზე სტარტი მიეცა თბილისის ტრადიციულ ღია პირველობას მრავალდღიან ველორბოლაში. შეჯიბრებაში თბილისის ძმადნაფიცი ქალაქის ლიუბლიანის გუნდთან ერთად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ნაკრები 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გუნდი, ლატვიის, სომხეთისა და საქართველოს ოლიმპიური მომზადების ცენტრების წარმომადგენლები, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები კოლექტივები. მრავალდღიანი რბოლის ტრასის საერთო სიგრძე 800 კილომეტრს აღწევს და ხუთ ეტაპად არის დაყოფილი. პირველ ეტაპზე (თბილისი — ფასანაური — თბილისი) გაიმარჯვა ლატვიელმა სპორტსმენმა მარტინ პალისმა.

მეორე ეტაპის (თბილისი — იგოეთი — თბილისი) სტარტს ველომრბოლელები დღეს 11 საათზე აიღებენ სანაპიროზე, რესტორან „არაგვის“ მახლობლად. მესამე ეტაპი (თბილისი — წითელი ხიდი — თბილისი) — ხვალ რესტორან „მარაბდასთან“ დაიწყება.

დარჩა სამი პარტია

ჰააგიდან (ჰოლანდია) იტყობინებიან, რომ შაში მსოფლიო პირველობის ა.ვირსმა — ვ. ვირნის მატჩის მეჩვიდმეტე პარტია 53-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ანგარიშია 8,5:8,5 (+1—1=15).

პირველი მატჩები, პირველი მეტოქეები

კალათბურთელთა რვა გუნდი ჩაება საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო. რესპუბლიკის პირველი გუნდის სახელისთვის მებრძოლი კოლექტივები ორ ჯგუფად გაჰყვეს. პირველ ჯგუფში არიან ფიზკულტურის ინსტიტუტის, რუსთავის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ბათუმის გუნდები, მეორეში — სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება, ქუთაისი და ახალგაზრდული ნაკრები.

ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები შეადგენენ ფინალურ ოთხეულს, ეს ოთხეული წრიული სისტემით გაითამაშებს საქართველოს ჩემპიონის ტიტულს. ფინალში გასულ გუნდებს ჩაეთვლებათ ერთმანეთთან ჯგუფებში ნათამაშები მატჩის შედეგები.

გაიმართა პირველი ტური: ფიზკულტურის ინსტიტუტი — რუსთავი 96:83 (45:32), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — ბათუმი 88:73 (38:37), თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება — უნივერსიტეტი 90:83 (38:42), ქუთაისი — ახალგაზრდული ნაკრები 105:96 (46:48).

ლიდერთა ტრიუმვირატი

ლვოვში გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა 51-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). მოჭადრაკეებმა შეჯიბრების დისტანციის მესამედი განვლეს.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭაბუკთა შორის ანდრეი სოკოლოვი (მოსკოვი) — 4,5 ქულა, დიდოსტატი ანდრიან მიხალჩიშინი (ლვოვი) და საერთაშორისო ოსტატი კონსტანტინ ლერნერი (ოდესა) — 4-4.

დაწინაურდნენ...

ტყიბული, 11 აპრილი (ტელეფონით). საქართველოს ვაჟთა 44-ე ჩემპიონატში (პირველი ლიგა) 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა გია ბაღათუროვი (თბილისი) — 4 ქულა.

საგარეჯო, 11 აპრილი (ტელეფონით). საქართველოს ქალთა 41-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში (26 მონაწილე) 5 ტურის შემდეგ ლიდერობს ნათია წკეპლაძე (ქუთაისი) —5 ქულა.

ზოია რუხაძის პრიზზე

წულუკიძეში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი ჭადრაკში გამოჩენილი პარტიზანი გოგონას ზოია რუხაძის სახელობის პრიზზე. შეჯიბრებაში 28 გუნდი მონაწილეობდა (თითოეულში 4 ჭაბუკი და ერთი გოგონა).

პრიზი დაისაკუთრა მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუნდმა (40-დან 35,5 ქულა). 33 ქულით II ადგილზე გავიდნენ ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლის მოჭადრაკეები (პ. თუთარაშვილი, კ. კუხიანიძე, ე. მორჩაძე, ე. ჩოგოვაძე და მ. კვერნაძე, მწვრთნელი ლ. ესაძე). III ადგილი დაიკავა ბაქოს ნაკრებმა (31 ქულა).

თავი გამოიჩინა მასპინძელთა გუნდმა (მ. ესაძე, ბ. აბზიანიძე, ნ. ჩიხლაძე, მ. ქოიავა, ი. აბზიანიძე), რომელიც ესოდენ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში პირველად მონაწილეობდა. წულუკიძელებმა 27,5 ქულით IV ადგილი დაიკავეს. ნორჩ მოჭადრაკეებს სასიამოვნო მოგონებად დარჩებათ შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია და წულუკიძელთა გულთბილი მასპინძლობა.

თენგიზ ხარლამიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ყურაშვილი — მეექვსე ადგილზე

ტაშკენტში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა 22 წლის დინამოელი სპორტის ოსტატი ბადრი ყურაშვილი (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვალენტინა რეტივიხი). ყურაშვილი ნებისმიერი პროგრამის შესრულების შემდეგ მეოთხე შედეგი ჰქონდა, ხოლო საბოლოოდ VI ადგილზე გავიდა.

ლეგენდარული ჯესი ოუენსის შვილიშვილი

და არა ნაკლებ პოპულარული მძლეოსნის ჯიმ ტორპის შვილიშვილი ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში ერთად გაირბენენ XXIII თამაშების საზეიმო გახსნის დღეს ნიუ-იორკის ქუჩებში ტრადიციული ოლიმპიური ამანათრბენის პირველ კილომეტრს. ოლიმპიური ცეცხლი ამის შემდეგ გაივლის ათასამდე დასახლებულ პუნქტს ქვეყნის 50 შტატში. მაისის დასაწყისში ოლიმპიადამდე დანთებულ ჩირაღდანს სულ ათი ათასი სპორტსმენი წაიღებს. ლოს-ანჯელესის „მემორიალ კოლიზეუმამდე“ 19 ათას კილომეტრს 80 დღეში დაფარავენ. ეს იქნება ყველაზე დიდი „ცეცხლოვანი ამანათრბენი“ ოლიმპიადების ისტორიაში.

სხვათაშორის, „მემორიალ კოლიზეუმში“, სადაც გაიმართება ოლიმპიური XXIII თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, აგრეთვე ოლიმპიელ მძლეოსანთა შეჯიბრებები, ამასწინათ ერთმანეთს შეხვდა ხუთი ოლიმპიური ჩემპიონი, სახელმოხვეჭილი ათლეტები ბობ მეტიასი, მილტ კამპბელი, რაფერ ჯონსონი, ბილ ტუმეი და ბრიუს ჯენერი. შეხვედრის მიზანი იყო მოახლოებული საზაფხულო ოლიმპიადის მზადების პერიოდში სპორტული სულისკვეთების გაძლიერებისათვის ხელშეწყობა.

ოლიმპიური იდეები ურყევია

ამ დღეებში მე, როგორც ორჯონიკიძის საქალაქო საბჭოს დეპუტატს, ხშირად მიხდება შეხვედრა ჩემს ამომრჩევლებთან — სამრეწველო საწარმოების მუშებთან, მშენებლებთან, ჩრდილოეთ ოსეთის სტუდენტ ახალგაზრდობასთან. ამ შეხვედრებზე ყურადღების ცენტრში დგას ჩვენი სისხლსავსე ცხოვრების სულ სხვადასხვა საკითხი. მაგრამ ამომრჩევლები ყოველი შეხვედრისას მეკითხებიან ახალ სპორტულ მოვლენებზე, მორიგი საზაფხულო ოლიმპიური თამაშების დედაქალაქიდან — ლოს-ანჯელესიდან მოსულ შემაშფოთებელ ცნობებზე.

რა ვუპასუხოთ? ვფიქრობ, რომ დღეს, როცა თამაშების გახსნის ცერემონიამდე სამ თვეზე ცოტა მეტი დარჩა, ამერიკის პროპაგანდის საშუალებები შემთხვევით არ „ამახვილებენ ყურადღებას“ სპორტის საკითხებზე და არც ანტისაბჭოური ისტერია წამოუწყიათ საგანგებო განზრახვის გარეშე. ისინი მიზნის მისაღწევად იყენებენ პროპაგანდისტული მანქანის ყველა საშუალებას. ამერიკელ სპორტის მოყვარულებს გამალებით „უნერგავენ“ იმ აზრს, რომ ლოს-ანჯელესში აუცილებლად აშშ-ის ნაკრებმა უნდა გაიმარჯვოს, რომ სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები ტერორისტები არიან, რომ სპორტულ ჩანთებში მათ იარაღი და პროპაგანდისტული კომუნისტური ლიტერატურა აქვთ დამალული...

აშშ-ის მმართველი წრეები ოლიმპიადას ეროვნული სულისკვეთების გაღვივების ფაქტორად მიიჩნევენ და მზად არიან ხელყონ ოლიმპიური ქარტიის ყველა პუნქტი.

მთელი ჩემი ცხოვრება სპორტთან, საჭიდაო ხალიჩასთან არის დაკავშირებული. 1969 წელს პირველად გამოვედი ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაში და ჩემპიონის სახელი მოვიპოვე. მახსოვს, რა გულთბილად მილოცავდა გამარჯვებას სრულიად უცხო ხალხი. ხელს მართმევდნენ, წარმატებებს მისურვებდნენ. მას შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ შეერთებულ შტატებში, მონაწილეობა მიმიღია მსოფლიო თასის გათამაშებაში, ამხანაგურ მატჩებში შევხვედრივარ ამერიკელ მოჭიდავეებს.

რამდენჯერმე ამერიკელი ხალიჩის ოსტატებიც ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში, ჩემს მშობლიურ ქალაქ ორჯონიკიძეში. აქ მათ მეგობრული, გულითადი შეხვედრა ელოდათ — ასეთია ჩვენი, საბჭოური სტუმართმოყვარეობის კანონი.

ის, ვისაც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ბედნიერება ხვდა, მუდამ მადლიერებით მოიგონებს სპორტის, მშვიდობისა და მეგობრობის ამ ჭეშმარიტ დღესასწაულს. ოლიმპიადა — 80-ის ორგანიზატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ, მოჭიდავეებს თავი კარგად ეგრძნოთ. განა ვინმეს დაავიწყდება ის შესანიშნავი მოსკოვური საღამოები, შეხვედრები მეგობრებთან, სპორტის გულშემატკივრებთან?

ლოს-ანჯელესიდან მოსული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XXIII ოლიმპიურ თამაშებზე ასეთი გარემო არ იქნება. იქ ყველაფერი დაემორჩილება კომერციას, რეკლამას, ბიზნესს, პოლიტიკას, სპორტსმენები მეორე პლანზე გადაინაცვლებენ. რეკორდები კი, როგორც ცნობილია, თავისთავად არ იბადება, დიახ, დიდი სპორტული მიღწევა იბადება მაშინ, როცა საამისოდ ნორმალური პირობებია შექმნილი.

ალმაშფოთებელია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველნაირად ცდილობენ დამახინჯებით წარმოადგინონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოური სისტემა. აშშ-ის მმართველი წრეები ამოცანად ისახავენ აუტანელი პირობების შექმნით ხელი შეუშალონ ოლიმპიადის სარბიელზე საბჭოთა სპორტსმენებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლას.

ამას წინათ საბერძნეთში, იმ ქვეყანაში, რომელმაც ოლიმპიადა აჩუქა მსოფლიოს, ოლიმპიური აკადემიის სესია ჩატარდა. აქ ხმამაღლა გაისმა ერთსულოვანი მოწოდება: დედამიწაზე მშვიდობა და თანხმობა უნდა სუფევდეს! ეს კეთილშობილური მოწოდება მიმართულია, პირველ ყოვლისა, ლოს-ანჯელესის თამაშების ორგანიზატორებისადმი. მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპორტსმენები მათგან ელიან ოლიმპიელთა მთელი რაზმის უსაფრთხოების კონკრეტულ გარანტიას.

...ჩვენთან, ჩრდილოეთ ოსეთში, ამბობენ ხოლმე: „სტუმარი მარტო კეთილ მეზობელს ეწვევა. და მასპინძელზე სტუმარი მისი შეხვედრის მიხედვით სჯის“. ამ სიტყვებს XXIII ოლიმპიადის ორგანიზატორებიც უნდა ჩაუფიქრდნენ. ჩვენ, საბჭოთა სპორტსმენები, დაბეჯითებით მოვითხოვთ: ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა მკაცრად დაიცვან ოლიმპიური ქარტიის ყველა პუნქტი.

ოლიმპიური იდეები ურყევია.

ს. ანდიევი,
ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 7 აპრილს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-14 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (21 ბარათი) მოგება 1939 მანეთია, ოთხისთვის (936 ბარათი) — 60, სამისთვის (18097 ბარათი) — 5.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (17 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3136 ბარათი) — 135, სამისთვის (102886 ბარათი) — 8.

მოგებული თანხის განაღდება — 18 აპრილიდან 18 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი ა. გოგელია

თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი 1 აპრილს 12 საათზე 300 არაგველის მემორიალთან ატარებს ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ მიტინგს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
ИНДЕКС 66435
გაზეთი კორექტორი, მოშარაულის. შ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე 05881